საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

კატალოგი
2026 წ.

მოდი, ისწავლე, დასაქმდი!

დაგვიკავშირდი:

568402020

info@fanaskerteli.edu.ge

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ჩვენი მისია, ხედვა და ღირებულებები

მისია

ჩვენი, როგორც მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე საპასუხოდ მოამზადოს კვალიფიციური, თანამედროვე უნარებით აღჭურვილი დარგის პროფესიონალები დედაქალაქსა და კახეთის რეგიონში როგორც რეგიონული განვითარების მყარი საყრდენი.
ვხელმძღვანელობთ რა თანამედროვე ევროპული საგანმანათლებლო სივრცის პრინციპებით, ვზრუნავთ: განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის, პიროვნული და პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაზე; მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების ხელშეწყობასა და დასაქმებაზე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.
კოლეჯის მისია ზუსტად პასუხობს მის განაცხადს – „მოდი, ისწავლე, დასაქმდი!

ხედვა

2032 წლისთვის ჩვენი ხედვაა:
·უზრუნველვყოთ ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება დედაქალაქსა და რეგიონში
·ვიყოთ სანდო და მდგრადი პარტნიორი, რომელიც დროულად პასუხობს შრომის ბაზრის ცვლილებებს
·ვიყოთ ინოვაციებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებილება, რომელიც იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს და თანამედროვე სწავლების მეთოდებს
·უზრუნველვყოთ სოციალური სამართლიანობისა და თვითრეალიზაციის სივრცე ყველასთვის
·კურსდამთავრებულებს მივცეთ ევროპულ განათლებასთან არამხოლოდ თავსებადი ფორმალური განათლების, არამედ მობილობის შესაძლებლობა
·წარმოვადგენდეთ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პლატფორმას ზრდასრულთა გადამზადებისა და პროფესიული ზრდისათვის

ღირებულებები

პატრიოტიზმი, სამართლიანობა, თანასწორობა, ხარისხი, სოციალური პასუხისმგებლობა, გუნდურობა, გამჭვირვალობა, ინოვაციებისკენ სწრაფვა და მუდმივი ზრუნვა თვითგანვითარებისთვის.

პროფესიული კვალიფიკაციები

02

01 საექთნო განათლება

02 ფარმაცია

03 აღმზრდელი

04 საფინანსო სერვისები

05 ინფორმაციის ტექნოლოგია



ფარმაცია

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

ფარმაციაში ასოცირებული ხარისხის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის ან ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

პროგრამის განხორციელების ფორმა: კოოპერაციული
დონე: 5
პროგრამის ხანგრძლივობა: 22 თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი:
- ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი,გიგო ზაზიაშვილის ქ. №1
- ქ. თელავი, გიორგი ბარძიმოვის ქ N42

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

ძირითადი შერჩევის მეთოდი: გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტესტირება: ქიმია, ბიოლოგია

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

“შეისწავლის ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს. საექთნო საქმის კვალიფიკაცია ფოკუსირებულია ავადმყოფობისა და რეაბილიტაციის დროს პაციენტების ჯანმრთელობის შენაჩუნებასა და მოვლაზე. ის მოიცავს მოხუცების და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების ჯანდაცვას. სამეანო საქმე შეისწავლის ქალის მოვლას (ჯანმრთელობის დაცვას) ორსულობის, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში. ის ასევე მოიცავს ჩვილის მოვლასა და დახმარებას მეძუძური დედებისთვის.”

პროგრამის განხორციელების ფორმა: კოოპერაციული
დონე: 5
პროგრამის ხანგრძლივობა: 32 თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი:
- ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი,გიგო ზაზიაშვილის ქ. №1
- ქ. თელავი, გიორგი ბარძიმოვის ქ N42

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ

ძირითადი შერჩევის მეთოდი: გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტესტირება: ქიმია, ბიოლოგია

აღმზრდელი

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით
- მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა
- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება
- წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროგრამის განხორციელების ფორმა: კოოპერაციული
დონე: 5
პროგრამის ხანგრძლივობა: 21 თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
განხორციელების ადგილი:
ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი,გიგო ზაზიაშვილის ქ. №1
ქ. თელავი, გიორგი ბარძიმოვის ქ N42
დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ
ძირითადი შერჩევის მეთოდი: გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტესტირება: წიგნიერება

საფინანსო სერვისები

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. პროგრამა ასევე მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
- შეასრულოს სალარო და საბანკო ოპერაციები
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

პროგრამის განხორციელების ფორმა: კოოპერაციული
დონე: 3
პროგრამის ხანგრძლივობა: 9 თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
პროგრამაზე დაშვების მინიმალური ასაკი: 17 წელი
განხორციელების ადგილი:
- ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი,გიგო ზაზიაშვილის ქ. №1
- ქ. თელავი, გიორგი ბარძიმოვის ქ N42

დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ
ძირითადი შერჩევის მეთოდი: მოტივაციური გასაუბრება

ინფორმაციის ტექნოლოგია

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის დასრულების შემდეგ კუსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიცი¬პალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები; -
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემები;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- შეძლოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

პროგრამის განხორციელების ფორმა: იმიტირებული
დონე: 3
პროგრამის ხანგრძლივობა: 11 თვე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
განხორციელების ადგილი:
ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, გიგო ზაზიაშვილის ქ. №1
დაფინანსების ტიპი: პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ
ძირითადი შერჩევის მეთოდი: მოტივაციური გასაუბრება

ჩვენი პარტნიორები

ადგილობრივი ასოციაციების წევრობა

საერთაშორისო პარტნიორები

EVTA – ევროპის პროფესიული ტრენინგების ასოციაციის წევრი 2025 წლიდან

MEMBERSHIP
CERTIFICATE
This is to certify that
Community College Panaskerteli
is currently a member of the
European Vocational Training Association
as of 2026
Giorgio Sbrissa, EVTA President
European Vocational Training Association
EVTA
Co-funded by the European Union
Please keep this certificate as proof of your membership.
Membership ID – GE01

EfVET – ევროპის ტექნიკური და პროფესიული განათლების ფორუმის წევრი 2025 წლიდან

Certificate of Membership
COMMUNITY COLLEGE PANASKERTELI
GEORGIA
Is a Full Member of the European Forum of Technical and Vocational Education and Training
Brussels, Belgium 2025
EfVET
European Forum of Technical and Vocational Education and Training
Paolo Nardi
EfVET Executive Director

ტრენინგები

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი ახორციელებს მოკლევადიან პროფესიულ და საკვალიფიკაციო ტრენინგებს როგორც ინდივიდუალური მსურველებისთვის, ასევე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დაკვეთით. ჩვენი ტრენინგები ეფუძნება პრაქტიკულ სწავლებას, თანამედროვე სტანდარტებს და შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებს.
მოკლევადიანი ტრენინგების მიმართულებები:

პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგები

პრაქტიკაზე დაფუძნებული კურსი, რომელიც მონაწილეებს ამზადებს საგანგებო სიტუაციებში სწორი და ეფექტური რეაგირებისთვის.

გერმანიაში დასაქმების მსურველთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები

კოლეჯი უკვე 10 წელზე მეტია წარმატებით თანამშრომლობს Medic Job Line-თან. აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში ვამზადებთ სპეციალისტებს გერმანიის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, ვაძლიერებთ მათ პროფესიულ კომპეტენციებს და ხელს ვუწყობთ საერთაშორისო დასაქმების შესაძლებლობების რეალიზებას.

საკვანძო კომპეტენციების ტრენინგები

კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, დროის მართვის, პროფესიული ეთიკისა და სხვა ტრანსფერული უნარების განვითარება, რაც აუცილებელია კარიერული წარმატებისთვის.

სხვა თემატური ტრენინგები

კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა პროფესიული მიმართულების ტრენინგების დაგეგმვასა და განხორციელებას დამკვეთის საჭიროებების შესაბამისად.

ტრენინგები ტარდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ სასწავლო სივრცეში, კვალიფიციური ტრენერების ჩართულობით და შესაძლებელია მათი ადაპტირება კონკრეტული ორგანიზაციის ან სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებზე.

ფორმალური განათლების აღიარება

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი ახორციელებს ფორმალური განათლების აღიარებას საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ ფორმალური განათლების აღიარებით სარგებლობა პირს შეუძლია მხოლოდ კოლეჯში ჩარიცხვის შემდგომ.

რას ნიშნავს ფორმალური განათლების აღიარება?

თუ პროფესიულ სტუდენტს ავტორიზებულ სასწავლებელში (სხვა პროგრამის ფარგლებში) გავლილი აქვს მოდულ(ებ)ი, რომლებსაც შეიცავს ის პროფესიული პროგრამა რომელზეც ახლა ჩაირიცხა, შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული მოდულების აღიარება.

ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს აღარ მოუწევს აღიარებული მოდულ(ებ)ის ან სწავლის შედეგ(ებ)ის თავიდან გავლა.

როგორ მიმდინარეობს პროცესი?

- სტუდენტი წერს განცხადებას;
- წარადგენს შესაბამის დოკუმენტებს (დიპლომი, სერტიფიკატი, აკადემიური ცნობა და სხვა);
- კოლეჯის კომისია ამოწმებს დოკუმენტებს და ადგენს, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი დოკუმენტები ჩვენი პროგრამის შინაარსს;
- მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი მოდულები უღიარდება (ჩაეთვლება) სტუდენტს.

პროცესი არის გამჭვირვალე, სამართლიანი და სრულად შესაბამისი საქართველოს კანონმდებლობასთან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ კოლეჯის ადმინისტრაციას.

მობილობა

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი უზრუნველყოფს მობილობას საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი მარეგულირებელი წესის შესაბამისად.
მობილობა ნიშნავს, რომ სტუდენტს შეუძლია:

მობილობა ჩვენს კოლეჯში (გადმოსვლა)

თუ სტუდენტი სწავლობს სხვა ავტორიზებულ პროფესიულ დაწესებულებაში და სურს სწავლის გაგრძელება საზოგადოებრივ კოლეჯი ფანასკერტელში, მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის შესაძლებლობით.

პროცესი მოიცავს:

- განცხადების წარმოდგენას დადგენილ ვადებში;
- სასწავლო დოკუმენტაციის წარდგენას (აკადემიური ცნობა და სხვა);
- გავლილი მოდულებისა და სწავლის შედეგების შეფასებას;
- შესაბამისობის შემთხვევაში ჩარიცხვას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრას.

ჩვენს კოლეჯში გადმოსვლის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უკვე მიღებული ცოდნის მაქსიმალურად აღიარებას, რათა სტუდენტმა სწავლა ეფექტურად და დროის დანაკარგის გარეშე გააგრძელოს.

შიდა მობილობა (პროგრამის შეცვლა კოლეჯის შიგნით)

სტუდენტს ასევე შეუძლია გადავიდეს სხვა პროფესიულ პროგრამაზე ჩვენი კოლეჯის ფარგლებში.
ამ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნას ფორმალური განათლების აღიარების მექანიზმი, რის შედეგადაც უკვე გავლილი და შესაბამისი მოდულები ჩაეთვლება ახალ პროგრამაში.

მობილობა სხვა დაწესებულებაში

კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტის მობილობას სხვა ავტორიზებულ პროფესიულ დაწესებულებაში, კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და ვადების დაცვით.

მობილობის ყველა პროცესი არის გამჭვირვალე, სამართლიანი და სრულად შესაბამისი მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან.

პროფესიული ორიენტაცია და კარიერული მხარდაჭერა

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის სერვისებს.

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ თითოეულ ადამიანს სწორი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში და წარმატებული დასაქმებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვაში.

პროფესიული ორიენტაცია

პროფესიული ორიენტაცია ეხმარება დაინტერესებულ პირებს:

- უკეთ გაიცნონ საკუთარი ინტერესები და შესაძლებლობები;
- მიიღონ ინფორმაცია კოლეჯის პროგრამებისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ;
- სწორად დაგეგმონ პროფესიული განვითარების გზა.
- ორიენტაციის შეხვედრები შესაძლებელია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

კარიერული მხარდაჭერა

კარიერული მხარდაჭერა მოიცავს:

- CV-ისა და სამოტივაციო წერილის მომზადებაში დახმარებას;
- გასაუბრებისთვის მომზადებას;
- ინფორმაციის მიწოდებას ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
- დამსაქმებლებთან კომუნიკაციის ხელშეწყობას;
- საჭიროების შემთხვევაში კარიერული კონსულტაციის ინდივიდუალურ სესიებს.

ჩვენი კარიერული მხარდაჭერის სერვისი ორიენტირებულია სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობაზე და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე შრომის ბაზარზე.

საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

მოდი, ისწავლე, დასაქმდი!

info@fanaskerteli.edu.ge

568402020

www.fanaskerteli.edu.ge

ქ. თბილისი:
გ. ზაზიაშვილის 1

ქ. თელავი:
გ. ბარძიმოვის 42